დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფარაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის - ილია სარსევანიძის 2022- 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

დმანისი 01.11.2022-01.11.2023 წ

მოგეხსენებათ საკრებულო წარმოადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს, სადაც, ყოველწლიური საქმიანობის წარმართვა ხდება როგორც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'', ასევე „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილების და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ვარ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფარაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, საანგარიშო პერიოდში ვმონაწილეობდი საკრებულოს, ბიუროს, შესაბამისი კომისიის და ფრაქციის ყველა სხდომაში.

- კომისიებში ჩემი აქტივობა:

1. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრი.
2. სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი .

- **ფრაქციის მიერ ინიცირებული იქნა შემდეგი საკითხები:**

,,სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის Nგ-109.109220254 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

„დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 08 დეკემბრის Nგ-109.109223427 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

- საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომაზე და ბიუროს სხდომაზე მათ შორის ჩემი მხარდაჭერით მიღებული იქნა სამართლებრივი აქტები 2022 წლის 22 ნოემბრიდან 2023 ოქტომბრის ჩათვლით .

განკარგულება: 69

დადგენილება: 39

ვესწრებოდი, მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულ კულტურულ და სოციალურ ღონისძიებებს.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი შემდეგ ტრენინგებსა და შეხვედრებს:

1. USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა -

სამუშაო შეხვედრა ურთიერთთანამშრომლობის სამოქმედო გეგმის შემუშავება დმანისის მუნიციპალიტეტში - 24-25. .01. 2023 წელი.

2. USAID - ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა - დმანისი მუნიციპალიტეტის საკრებულოსსაზედამხედებულო შესაძლებლობის გაძლირება.

3. USAID ტრენინგი: ,, მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება'' 7 .08. 2023 წელი.

4. USAID- დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზედამხედველობის საქმიანობის კვლევის ანგარიში - 20.09.2023 წელი.

5. USAID ტრენინგი: ,, მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება'' სისტემური ხედვა და მონაწილეობითი PME. 10.10.2023 წელი.

ასევე აქტიურად ვმონაწილეობდი, ქ. დმანისის და სოფლის მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებში სადაც ვისმენდით მოსახლეობის საჭიროებებს, შესაძლებლობების მიხედვით მიმდინარე ან მომავალი წლის ბიუჯეტში თუ პრიორიტეტების დოკუმენტში ასახვის მიზნით.